კ. დ.-ს

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორს
ვახტანგ ლეჟავას
მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N240
ელ. ფოსტა: info@agruni.edu.ge

რეკომენდაცია

სექსუალური შევიწროების დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლის და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

2023 წლის 31 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით (N8976/23) მომართა ე. ბ.-მ და ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სავეტერინარო მედიცინის ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელის, კ.დ.-ის, მხრიდან სავარაუდო სექსუალური შევიწროების საკითხის შესწავლა მოითხოვა.

განმცხადებლის მითითებით, სავარაუდო სექსუალური შევიწროება გამოიხატა *პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული კითხვის დასმის, დასალევად დაპატიჟებისა და დაკეტილ სახლში შეხვედრის შეთავაზების ფორმით, რამაც მას ღირსების შემლახველი, დამაშინებელი და შეურაცხმყოფელი გარემო შეუქმნა.*

საქმის შესწავლის პროცესში, სახალხო დამცველმა ინფორმაცია გამოითხოვა კ. დ.-სგან და ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორისგან. ასევე, წინამდებარე გადაწყვეტილებაში შეფასდა, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დისციპლინური საბჭოს სხდომის ოქმი, რექტორის 2023 წლის 6 სექტემბრის N04/01-50 გადაწყვეტილება და მესამე პირთა ახსნა-განმარტებები[1].

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განმცხადებლის პოზიცია

[1] **შენიშვნა:** საქმეში არსებული მოცულობითი ინფორმაციის გათვალისწინებით, გადაწყვეტილებაში აისახა და გაანალიზდა მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, რაც სექსუალური შევიწროების გამოკვეთისთვის არის რელევანტური

ე. ბ., 2019 წლის სექტემბრიდან, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტის ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე *(საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)* ირიცხებოდა და მის სამაგისტრო კვლევას მოპასუხე ხელმძღვანელობდა. თემის ხელმძღვანელად არჩევიდან მალევე, მოპასუხემ განმცხადებელთან პირად საკითხებზე კომუნიკაცია აქტიურად დაიწყო, როგორც სიტყვიერად[2], ასევე ონლაინ მიმოწერის საშუალებით.[3]

2021 წლის 7 მაისს, კ. დ.-მ, ღამის საათებში *(23:32 სთ),* განმცხადებელს თავისი ფოტოსურათები და შეტყობინება გაუგზავნა, ტექსტით - *„უფფ ბასეინის და საუნის სურათებს აღარ გამოვაგზავნი:)) ძაან ბომბია“.*[4] პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათების გაგზავნა და იმაზე ხაზგასმა, რომ აუზისა და საუნის სურათები იყო „ბომბი“, განმცხადებელმა სექსუალური შინაარსის შეტყობინებად აღიქვა.

კ. დ.-მ განმცხადებელს ცალკე შეხვედრა რამდენჯერმე სთხოვა[5], მათ შორის, 2021 წლის 26 დეკემბერს, ღამის საათებში *(01:04 სთ)* მისწერა:

> **მოპასუხე**: „*სად შევხვდეთ? საჯარო თუ პრივატ ადგილზეე?*“
> **განმცხადებელი**: „*სულ ერთია*“
> **მოპასუხე**: „*ორშაბათს რომ შევხვდეთ საღამოს 5-6 სკენ ერთ წყნარ ადგილზე? სახლში ?*“
> **განმცხადებელი**: „*კიბატონო.*“
> **მოპასუხე**: „არ ტეხავს?“
> **განმცხადებელი**: „*რავი. გააჩნია სად.*“
> **მოპასუხე**: „ *ზოგადად. დაკეტილი სუფთა მშვენიერი ხედებიანი ბინაა... კარგი აურაა და რაც მთავარია სიწყნარეა“.*
> **განმცხადებელი**: **„***გააჩნია სიტუაციას რა. ვისი გადმოსახედიდან კიდე.*“

2021 წლის 28 დეკემბერს, კ. დ.-მ განმცხადებელს გავლა და ყავის დასალევად წასვლა შესთავაზა[6]. 2022 წლის 7 მარტს, განმცხადებელმა მოპასუხესთან საუბარში ახსენა, რომ ლაბორატორიიდან წასასვლელად სხვა პირს ელოდა, რა დროსაც იგი დაინტერესდა, იყო თუ არა ეს პიროვნება მისი შეყვარებული[7]. 2022 წლის 11 მარტს, განმცხადებლის მოკითხვისას,

---

[2] **შენიშვნა:** იგულისხმება როგორც ფიზიკური შეხვედრები, ასევე, სატელეფონო საუბრები

[3] განმცხადებელმა სახალხო დამცველს, მოპასუხესთან არსებული მიმოწერის ამსახველი დოკუმენტაცია (ე.წ. სქრინები) წარმოუდგინა. მხარეთა შორის მიმოწერა Facebook messenger აპლიკაციის გამოყენებით ხდებოდა

[4] განმცხადებლის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია მიმოწერის ამსახველი ე.წ. სქრინი.

[5] 2021 წლის 11 დეკემბრის, 23:04 საათზე მიმოწერა. **მოპასუხე:** *„რომ ჩამოხვალ მინდა გნახო ცალკე და დაგელაპარაკო, ყველას გარეშე. მარტო მე და შენ, სქრინების გარეშეე“* **განმცხადებელი:** *„ოქეიი, ხო მშვიდობაა“* **მოპასუხე:** *„ანა ქრისწი სანდრო და რამე არავითარ შემთხვევაში, ოკ?“* **განმცხადებელი:** *„რა პრობლემაა“*

[6] **მოპასუხე:** *„ე. რომელზე აპირებ მისვლასაა :)))“* **განმცხადებელი:** „*სადღაც 1“1* **მოპასუხე:** „*კაიი.. ვიფიქრე დილიდან გამოგივლიდი და ყავას შევხვრეპავდით გზაზე სადმე მარაა.. 11 უნდა ვიყო უნიში“.* **განმცხადებელი:** *„უნიში შევხვრიპოთ. შოკოლადსაც გამოვაყოლებ“*

[7] **განმცხადებელი:** „მე და ა. ერთად ვაპირებდით წასვლას მარა ამასობაში დამირეკეს და ვუცდი :D“ **მოპასუხე:** „ლუბოვვი? :))“ **განმცხადებელი:** „ნოუ“ **მოპასუხე:** „უპპს“ **განმცხადებელი:** „ღრმა ბავშვობის მეგობარი“

მიმართა ტერმინით - *„ჩიტო“*[8]. ხოლო, 2022 წლის 27 მარტს, გაუგზავნა ალკოჰოლური სასმლის[9] ამსახველი ფოტოსურათი შემდეგი შეტყობინებით:

> **მოპასუხე:** *„დავლიოთ“*
> **განმცხადებელი:** *„Chivas regal? :D“*
> **მოპასუხე:** *„მომენატრეე ე.. დავითვერიიი“*
> **განმცხადებელი:** *„ხვალ ხო მოვდივარ უნიში და გნახავთ.“*

განმცხადებლის განმარტებით, კ. დ.-ის შეტყობინებები და შეთავაზებები მისთვის იყო მიუღებელი და უქმნიდა დისკომფორტს, თუმცა, ეშინოდა, რომ თუკი შეტყობინებებს უპასუხოდ დატოვებდა, ან/და მასთან დადებითი კომუნიკაცია არ ექნებოდა, სამაგისტრო ნაშრომის დაცვაში ხელს შეუშლიდა. მოსალოდნელი საფრთხის გამო, იგი ცდილობდა, მოპასუხის გაბრაზება/წყენა არ გამოეწვია და არ გამოეხატა ის შინაგანი შფოთვა და სტრესი, რასაც, რეალურად, მისი ქცევის გამო განიცდიდა.

2022 წლის 4 ოქტომბერს, განმცხადებელმა კ. დ.-ს ქცევასთან დაკავშირებით, პროგრამის კოორდინატორს, ნ. კ.-ს, აცნობა[10], თუმცა საკითხს, ნ. კ.-ს მხრიდან, სამართლებრივი მსვლელობა არ მისცემია. აღნიშნულის გათვალისწინებით, განმცხადებელს გაუჩნდა განცდა, რომ საჩივრით მიმართვის შემთხვევაში, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია რეაგირების ნაცვლად, მორალურ პასუხისმგებლობას მას დააკისრებდა. ამასთან, განმცხადებელს ეშინოდა, რომ თუკი უნივერსიტეტის რექტორს მიმართავდა, კ. დ. მას კიდევ უფრო მეტ დისკომფორტს შეუქმნიდა[11].

განმცხადებლის განმარტებით, კ. დ.-ის ქცევასთან დაკავშირებით ხშირად საუბრობდა დასთან, მ. ბ.-სთან. ინფორმაციას, ასევე, აწვდიდა მეგობრებსაც. კ. დ.-სგან მომდინარე მუდმივმა სტრესმა და დაძაბულობამ, მის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა იქონია, კერძოდ, ჰქონდა დეპრესიული განწყობა, მოტივაციის ნაკლებობა, თავის ხშირი ტკივილი და შფოთვები.

1.2. კ. დ.-ს პოზიცია

---

[8] **მოპასუხე:** „ე.... რაფერ ხარ ჩიტოო. მე საგარეჯო.“ **განმცხადებელი:** „კარგა

კ. დ.-ს განმარტებით, განმცხადებელმა სამაგისტრო თემაზე ლაბორატორიაში მუშაობა 2020 წლიდან დაიწყო და ამავე ლაბორატორიაში, ასისტენტის პოზიციაზე, ა. გ.-ც მუშაობდა. გადატვირთული აკადემიური გრაფიკის გათვალისწინებით, მოპასუხე ლაბორატორიაში მუდმივად ყოფნას ვერ ახერხებდა, რის გამოც ე. ბ.-ს სამაგისტრო კვლევისთვის დახმარება ა. გ.-ს სთხოვა. მალევე, ა. გ.-სა და განმცხადებელს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რაშიც განმცხადებელი მოპასუხეს ადანაშაულებდა.

განმცხადებელთან არსებული კომუნიკაციის შინაარსთან მიმართებით მოპასუხემ აღნიშნა, რომ სასაუბრო თემას სამაგისტრო კვლევა წარმოადგენდა. უგზავნიდა ლიტერატურას, უზიარებდა მის მოსაზრებებს და ამხნევებდა, რომ ნაშრომს წარმატებით დაასრულებდა[12]. სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ ყოველთვის სოციალურ ქსელებს[13] იყენებდა, რამდენადაც მათთვის კომუნიკაციის ეს ფორმა კომფორტული და მარტივი იყო. ვინაიდან კვლევის საგანს ღვინო წარმოადგენდა და ღვინის დაგემოვნება უშუალო კავშირში იყო სტუდენტების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებთან, ლაბორატორიაში ფრაზები - *„ღვინო ხომ არ დაგველია“, „ცოტა მოვწრუპოთ“* ხშირად გამოიყენებოდა, რაც არააკადემიურ ქცევას არ მოიაზრებდა[14].

მოპასუხემ უარყო, რომ განმცხადებლის პირადი ცხოვრებით ინტერესდებოდა. შეყვარებულთან დაკავშირებულ კითხვასთან მიმართებით აღნიშნა, რომ მის მიზანს არ წარმოადგენდა იმის გაგება, ჰყავდა თუ არა განმცხადებელს შეყვარებული. ეს იყო ფორმალური კითხვა, რომელიც, მისი შეფასებით, ჯდებოდა იმ მეგობრული და უშუალო ურთიერთობის ფარგლებში, რაც მას განმცხადებელთან წლების მანძილზე ჩამოუყალიბდა. მიმართვისას ტერმინი *„ჩიტო“*-ს გამოყენების ნაწილშიც, მოპასუხემ განმარტა, რომ მას აღნიშნული სიტყვა სექსუალური ქვეტექსტით არ გამოუყენებია. მისი შეფასებით, ეს შეიძლება იყო მიმართვის ფამილარული ფორმა, თუმცა ნაკარნახევი იყო მეგობრული დამოკიდებულებით და თავისუფალი სივრცის შექმნას ისახავდა მიზნად.

ყავაზე დაპატიჟების საკითხთან მიმართებით მოპასუხემ აღნიშნა, რომ განმცხადებელთან მუდმივად ჰქონდა საქმიანი და მეგობრული კომუნიკაცია, რომლის ფარგლებშიც, ყავის დასალევად დაპატიჟება არ იყო უჩვეულო. ამასთან, შეთავაზებაზე განმცხადებლისგან პასუხად მიიღო - *„უნიში შევხვრიპოთ, შოკოლადსაც გამოვაყოლებ“*, რამაც გაუჩინა განცდა, რომ კომუნიკაცია იყო ორმხრივი და ნებაყოფლობითი. მოპასუხის განმარტებით, მას მსგავსი

[12] შენიშვნა: მოპასუხის განმარტებით, განმცხადებლის სამაგისტრო კვლევა შეფერხებით და დროში გაწელილად მიმდინარეობდა, რაც განმცხადებელს ძალიან აწუხებდა

[13] შენიშვნა: მოპასუხის განმარტებით, სტუდენტებთან კომუნიკაცია ძირითადად Facebook, Messenger, WhatsApp აპლიკაციებით ხდებოდა

[14] შენიშვნა: აღნიშნული საკითხი, ასევე, დაფიქსირებულია მესამე პირის, ა. ვ.-ს, ახსნა-განმარტებაში. ა. ვ. მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში ღვინის კვლევაზე განმცხადებელთან ერთად მუშაობდა

კომუნიკაცია ჰქონდა ლაბორატორიის სხვა წევრებთან[15], სტუდენტებთან და კოლეგებთან და ყავა/ჩაიზე და ღვინის დეგუსტაციაზე დაპატიჟება მისთვის არის კოლეგიალობისა და პატივისცემის გამოხატულება და კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობა.

კ. დ.-მ უარყო დაკეტილ ბინაში განმცხადებლის დაპატიჟების განზრახვა. მისი განმარტებით, შეთავაზებული სივრცე/ადგილი გულისხმობდა არა საცხოვრებელ სახლს, არამედ ღვინის სადეგუსტაციო ბინა მარანს[16], რომელიც კორპუსის ერთ-ერთ სართულზე მდებარეობს[17]. ცალკე შეხვედრის შეთავაზება განაპირობა იმან, რომ, ა. გ.-სთან არსებული დაპირისპირების გამო, განმცხადებელთან მშვიდ გარემოში საუბარი სურდა. მან მალევე გააცნობიერა, რომ მსგავსი შეხვედრა, შესაძლოა, აღქმულიყო არააკადემიურ ნაბიჯად, რის გამოც განმცხადებელთან დააზუსტა *„არ ტეხავს?“,* რაზეც პასუხად მიიღო რომ არა. ამ პასუხის მიუხედავად, მიხვდა, რომ განმცხადებელს უხერხულობას უქმნიდა მასთან განმარტოებით შეხვედრა, ასევე, ჩათვალა, რომ შეხვედრა არ იქნებოდა მიზანშეწონილი და ჩაშალა.

მოპასუხის განმარტებით, მას არ შეეძლო ნეგატიური გავლენა მოეხდინა სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე, რამდენადაც არც რეცენზიას გასცემდა და არც სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომისიაში მონაწილეობდა. იგი სრულ აკადემიურ და ადამიანურ რესურსს დებდა იმაში, რომ განმცხადებელს სწავლა წარმატებით დაესრულებინა[18].

1.3. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მესამე პირთა ახსნა-განმარტებები

საქმის წარმოების ფარგლებში, განმცხადებელმა სახალხო დამცველს დის - მ. ბ-ს, დედის - მ. გ.-სა და მეგობრის - თ. ლ.-ს ახსნა განმარტებები წარმოუდგინა[19].

მ. ბ.-ს განმარტებით, სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის პერიოდი განმცხადებლისთვის იყო ძალიან სტრესული. სახლში ყოფნის დროსაც მუდმივად დაძაბული და გაღიზიანებული იყო, თავს შედარებით უკეთესად გრძნობდა მაშინ, როდესაც უნივერსიტეტში მისვლა და მოპასუხესთან კომუნიკაცია არ უწევდა. ლაბორატორიაში ყოფნისას განმცხადებელი ხშირად წერდა, რომ აწუხებდა მოპასუხესთან კომუნიკაცია და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, რომ მისგან ღირსების შემლახავი კომენტარები აღარ მიეღო. ხშირად აღნიშნავდა, რომ სამაგისტრო

---

[15] აღნიშნულის დამადასტურებლად მოპასუხემ სახალხო დამცველს ყოფილ სტუდენტებთან ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელების გამოყენებით არსებული მიმოწერების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოუდგინა. დოკუმენტებით დასტურდება, რომ მოპასუხისთვის დამახასიათებელია სტუდენტებთან არააკადემიური და ხშირად ფამილარული კომუნიკაცია

[16] შენიშვნა: მოპასუხის განმარტებით, მან აღნიშნული დაწესებულება იმის გამო შეარჩია, რომ სამაგისტრო კვლევის ფარგლებში, სხვადასხვა სახეობის ღვინოს ხშირად აგემოვნებდნენ

[17]შენიშვნა: კ. დ.-ს განმარტებით, დასახელებული დაწესებულების მისამართია: თბილისი, მგალობლიშვილის ქუჩა N5ა, სადარბაზო N2, სართული N8, ბინა N37 ტელეფონი: +995 599280000, ფეისბუქ გვერდი: Bina 37/ბინა 37

[18] მოპასუხემ სახალხო დამცველს განმცხადებელთან და სამაგისტრო კვლევაზე მომუშავე სხვა პირებთან, ელექტრონულ ფოსტაზე, არსებული მიმოწერის ამსახველი დოკუმენტები წარმოუდგინა

[19] მოწმედ წარმოდგენილი პირების ახსნა-განმარტებები ე. ბ.-მ სახალხო დამცველს 2023 წლის 15 აგვისტოს N9745/23 განცხადებით წარმოუდგინა

ნაშრომის წერის პერიოდში, მოპასუხე მუდმივად არიდებდა თავს კვლევის ხელმძღვანელის მოვალეობების შესრულებას. ლაბორატორიაში ყოფნისას ნაცვლად კვლევის შედეგების განხილვისა, იგი განმცხადებელს საკუთარ მუსიკალურ გემოვნებაზე ესაუბრებოდა. ასევე, ურეკავდა არასამუშაო საათებში და არააკადემიურ საკითხებზე ესაუბრებოდა.

მ. გ.-ს ახსნა-განმარტებაში აღნიშნულია, რომ მას შემდგომ, რაც განმცხადებელმა ლაბორატორიაში სამაგისტრო ნაშრომზე დაიწყო მუშაობა, ხასიათის ცვლილება მალევე შეამჩნია. ტელეფონის ზარის გაგონებაზე ეწყებოდა შფოთვა, ხშირად გაღიზიანებული იყო, სტკიოდა თავი, უჩქარდებოდა გული. თანდათანობით იმდენად დაითრგუნა, რომ სწავლის გაგრძელების მოტივაციაც გაუქრა. განმცხადებელმა ისიც კი ჰკითხა, ფსიქიატრის დახმარება ან მედიკამენტების მიღება ხომ არ სჭირდებოდა. მ. გ.-ს განმცხადებლისგან ჰქონდა ინფორმაცია, რომ კ. დ. სთავაზობდა მშვიდ გარემოში შეხვედრას, ურეკავდა გვიან ღამითაც, ესაუბრებოდა არააკადემიურ საკითხებზე, მათ შორის, უყვებოდა თანამშრომელი გოგონას პირადი ცხოვრების დეტალებს.

წარმოდგენილ ახსნა განმარტებაში **თ. ლ.**-მაც დაადასტურა, რომ განმცხადებელი მუდმივად იყო განერვიულებული და დაძაბული. კ. დ.-ს ქცევის გარდა, მას, ასევე, აწუხებდა არაჯანსაღი სამუშაო გარემო, რომელსაც ა. გ. უქმნიდა. განმცხადებლისთვის შემაწუხებელი იყო მისი პირადი ცხოვრებისადმი მოპასუხის ინტერესი და შეხვედრების შეთავაზება, თუმცა, ეშინოდა, რომ თუ არ უპასუხებდა, ეს უარყოფით გავლენას იქონიებდა მის სამაგისტრო ნაშრომზე და ზოგადად, მის რეპუტაციაზე. თ. ლ.-ს განმარტებით, სხვა მეგობრებსაც ხშირად აღუნიშნავთ, რომ მოპასუხისთვის დამახასიათებელი იყო სტუდენტი გოგონებისადმი ინტერესი.

1.4. მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მესამე პირთა ახსნა-განმარტებები

საქმის განხილვის მიმდინარეობისას, მოპასუხემ სახალხო დამცველს 13 პირის ახსნა-განმარტება წარმოუდგინა[20].

ახსნა განმარტებებში ასახული ინფორმაცია, ძირითადად, მოპასუხის როგორც პიროვნულ, ასევე, აკადემიურ დახასიათებას შეიცავს. მას ახასიათებენ მეგობრულ, უშუალო და მზრუნველ ლექტორად, რომელიც სტუდენტების დახმარებასა და გვერდში დგომაზეა ორიენტირებული. დოკუმენტებში, ასევე, ხაზგასმულია, რომ მოპასუხისთვის დამახასიათებელია ლექციებს შორის, სტუდენტების კაფეტერიაში ან უნივერსიტეტთან ახლოს მდებარე რესტორანში დაპატიჟება, ბარში დასალევად წასვლის შეთავაზება, ლექციების დასრულებისას, გვიან ღამით, მათი სახლებამდე ან მეტრომდე მიყვანა. მსგავსი აქტივობისას მისგან ყოველთვის

[20] აღნიშნული პიროვნებები მოპასუხის ყოფილ სტუდენტებს, ლაბორატორიის წევრებსა და კოლეგებს წარმოადგენენ. ლ. მ.-ს ახსნა-განმარტება; დ. გ.-ს ახსნა-განმარტება; ა. ვ.-ს ახსნა-განმარტება; ა. ნ.-ს ახსნა-განმარტება; ბ. ქ.-ს ახსნა-განმარტება; ნ. რ.-ს ახსნა-განმარტება; ა. გ.-ს ახსნა-განმარტება; ა. ქ.-ს ახსნა-განმარტება; ბ. ლ.-ს ახსნა-განმარტება; თ. გ.-ს ახსნა-განმარტება; თ. ბ.-ს ახსნა-განმარტება; ქ. კ.-ს ახსნა-განმარტება; დ. ჩ.-ს ახსნა-განმარტება. მოპასუხის 2023 წლის 23 აგვისტოს განცხადება N10183/23, 2023 წლის 1 სექტემბრის განცხადება N10590/23 და 2023 წლის 5 ოქტომბრის განცხადება N12054/23

გრძნობდნენ მეგობრულ დამოკიდებულებას და იმ აკადემიურ ზღვარს, რაც სტუდენტსა და ლექტორს შორის არსებობს.

დამატებით, ა. ვ.-სა და ა. გ.-ს პოზიციებში[21] აღნიშნულია, რომ, სამუშაო პროცესში, მოპასუხისთვის განმცხადებლისადმი ინტერესი და არააკადემიური ქცევა არასოდეს შეუმჩნევიათ. მათ ასევე დაადასტურეს, რომ განმცხადებელს ჰქონდა უკმაყოფილება სამაგისტრო კვლევის ფარგლებში მოპასუხის ჩართულობასთან დაკავშირებით.

1.5. ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორისგან მიღებული ინფორმაცია

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის 2023 წლის 13 აგვისტოს ცნობილი გახდა[22], რომ სექსუალური შევიწროების საკითხთან დაკავშირებით, ე. ბ.-მ სახალხო დამცველს მიმართა. ინფორმაციის შეტყობინებისთანავე, პრორექტორმა ყველა უფლებამოსილი პირი[23] საქმის კურსში ჩააყენა, მათ შორის, ნ. კ.-საც გაესაუბრა.

2023 წლის 14 აგვისტოს, უნივერსიტეტის რექტორმა, პრორექტორმა, სტუდენტების დეკანმა და ადამიანური რესურსების მენეჯერმა კ. დ.-სთვის ლექტორის უფლება-მოვალეობების სრულად შეჩერების გადაწყვეტილება მიიღეს, რის გამოც, 2023 წლის სექტემბრიდან იმ საგნებში, სადაც იგი ლექციებს, სემინარებს ან ლაბორატორიულ მეცადინეობებს ატარებდა, სხვა ლექტორები შეირჩნენ.

2023 წლის 15 აგვისტოს, უნივერსიტეტის სადისციპლინო საბჭომ, კ. დ.-ს მიმართ, დისციპლინური საქმის წარმოება დაიწყო[24]. წარმოების ფარგლებში, 2023 წლის 24 აგვისტოს, შეხვედრა შედგა ე. ბ.-სთან. საქმის გარემოებებისა და მტკიცებულებების შესწავლის შედეგად, სადისციპლინო საბჭომ მიიჩნია, რომ კ. დ.-ს მხრიდან, დაირღვა სექსუალური შევიწროების ამკრძალავი შიდა დებულებები[25], რისთვისაც პასუხისმგებლობის ზომად შრომითი ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტა განესაზღვრა[26]. უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 6 სექტემბრის ბრძანების N04/01-50 საფუძველზე, კ. დ.-სთან შრომითი ურთიერთობა ცალმხრივად შეწყდა.

---

[21] შენიშვნა: დასახელებული პირები ლაბორატორიაში განმცხადებელთან და მოპასუხესთან ერთად მუშაობდნენ და ჩართულები იყვნენ განმცხადებლის სამაგისტრო კვლევაში

[22] შენიშვნა: ინფორმაცია უნივერსიტეტის პრორექტორს თავად კ. დ.-მ მიაწოდა

[23] შენიშვნა: უნივერსიტეტის რექტორი, პრორექტორი სასწავლო საკითხების მართვის საკითხებში, კანცლერი, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, სტუდენტების დეკანი, იურიდიული სამსახურის უფროსი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

[24] ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორის 2023 წლის 15 აგვისტოს ბრძანება N04/01-37 „დისციპლინური წარმოების განხორციელების დაწყების შესახებ“

[25] ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესის პირველი მუხლის 1.7 პუნქტი, მე-5 მუხლის 5.1.1, 5.1.5 და 5.1.17 ქვეპუნქტები; „აკადემიური პერსონალისა და სწავლების პროცესში მონაწილე სხვა პირების ეთიკის კოდექსის“ მე-3 მუხლის 3.4 პუნქტი, მე-4 მუხლის 4.1.15 პუნქტი, მე-5 მუხლის 5.1.1 ქვეპუნქტი

[26] ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის დისციპლინური საბჭოს 2023 წლის 25 აგვისტოს სხდომის ოქმი #1

2. სამართლებრივი შეფასება

2.1. სექსუალური შევიწროების შესახებ სამართლებრივი სტანდარტი და მისი აკრძალვის მნიშვნელობა

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს სექსუალურ შევიწროებას და დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად აღიარებს[27]. სექსუალურ შევიწროება ეს არის *„**სექსუალური ხასიათის** ნებისმიერი **არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი** ან **ფიზიკური ქცევა**, რომელიც **მიზნად ისახავს ან იწვევს** პირის **ღირსების შელახვას** ან მისთვის **დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი** ან **შეურაცხმყოფელი** გარემოს შექმნას“*[28]. ანტი-დისკრიმინაციული კანონით განსაზღვრული სამართლებრივი დაცვა ნებისმიერ სივრცეში განხორციელებულ სექსუალურ შევიწროებას ფარავს - ეს შეიძლება იყოს სამუშაო ადგილი, საგანმანათლებლო სფერო, სამედიცინო სივრცე, საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილები (ტრანსპორტის, კვების/გასართობი/დასასვენებელი ობიექტების ჩათვლით) და სხვა ნებისმიერი სივრცე, სადაც სექსუალური შევიწროების ფაქტს, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს.

„ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW)[29] გაეროს კომიტეტმა სექსუალური შევიწროება ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნია, რომლის გამოვლინებაც რეალურ საფრთხეს უქმნის თანასწორობას.[30] „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია *(„სტამბოლის კონვენცია“)*[31] სექსუალურ შევიწროებას ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლინებად მოიაზრებს[32] და განმარტავს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ქალებსა და მამაკაცებს შორის ისტორიულად უთანასწორო ურთიერთობის მანიფესტაცია, რომელმაც მამაკაცების დომინირება და ქალთა მიმართ დისკრიმინაცია გამოიწვია.[33] კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად, სექსუალური შევიწროება მრავალი ფორმით შეიძლება გამოვლინდეს, ეს შეიძლება იყოს <u>წერილობითი ან ზეპირი ფორმით - სექსუალური ხასიათის</u>

---

[27] საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 3[2]; საქართველოს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“, მუხლი 4, ნაწილი 5,6; საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მუხლი 6, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ“

[28] საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 3[2]

[29] „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაეროს 1979 წლის კონვენციას საქართველო მიუერთდა 1994 წელს

[30] UN Committee on the Elimination of Discrimination Against Women (CEDAW), CEDAW General Recommendation No. 19: Violence against women, 1992, §1; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/42frJRW

[31] „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია რატიფიცირებულია საქართველოს მიერ 2017 წლის 19 მაისს. აღნიშნული კონვენცია ყველაზე ქმედითი საერთაშორისო ინსტრუმენტია ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის სექსუალური შევიწროების, წინააღმდეგ

[32] „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 40

[33] ევროპის საბჭოს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენცია, CETS 210, 2011, პრეამბულა

ნებისმიერი შეკითხვა, შენიშვნა, ხუმრობა. ასევე, ფიზიკური კონტაქტი, როგორიცაა - შეხება, მოფერება, ჩქმეტა. ფიზიკურ შეხებაში იგულისხმება ნებისმიერი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მსხვერპლის სხეულზე არასასურველ შეხებას გულისხმობს. ზემოაღნიშნული ქმედებები უნდა იყოს ადამიანისათვის შეურაცხმყოფელი და აკნინებდეს მის ღირსებას[34].

სექსუალური შევიწროება ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება თანასწორი მოპყრობის პრინციპს და აქვს დამაზიანებელი ეფექტი იმ ადამიანების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, ვის წინააღმდეგაც არის მიმართული[35]. მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური შევიწროების მსხვერპლი, თეორიულად, შესაძლოა, ორივე სქესის წარმომადგენელი გახდეს, პრაქტიკაში[36], ქალთა სექსუალური შევიწროების შემთხვევები უფრო ხშირია, რაც საზოგადოებაში არსებული გენდერული ნორმებითა და ქალებსა და კაცებს შორის ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილებით აიხსნება[37].

სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოვლინდეს ერთი ცალკე მდგომი შემთხვევით, ან შეიცავდეს სხვადასხვა სახის ქცევათა კასკადს. სექსუალური შევიწროება ორი ფორმით ხასიათდება: (1) Quid Pro Quo ანუ, მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ, რომელიც ითვალისწინებს სექსუალური ხასიათის მოთხოვნის არსებობას ქმედებაში[38] და (2) მტრული სამუშაო გარემოს შექმნა[39] - როდესაც სექსუალური შინაარსის კომენტარები, მინიშნებები, შენიშვნები თუ ხუმრობები დამაშინებელ და შეურაცხმყოფელ პირობებს ქმნის. „Quid pro quo" სექსუალური შევიწროებისაგან განსხვავებით, სადაც ერთი იზოლირებულად მდგომი ინციდენტი, მისი სიმძიმის გათვალისწინებით, სექსუალურ შევიწროებად შეიძლება ჩაითვალოს, მტრული გარემოს შექმნა, როგორც წესი, მრავალჯერადი შეურაცხმყოფელი ინციდენტებით ხასიათდება, რომელთა ინდივიდუალურად შეფასება, შესაძლოა, არც კი იძლეოდეს სექსუალური შევიწროების შემადგენლობას.[40] ამასთან, საგულისხმოა, რომ ბრიტანეთის შრომის სააპელაციო ტრიბუნალმა საქმეში *Bracebridge Engineering LtD v Darby* დაადგინა[41], რომ მხოლოდ ერთი ინციდენტიც, თუ საკმარისად სერიოზულია, საკმარისია დარღვევის დასადგენად.

---

[34] Council of Europe, Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, 2011, §208, pg..33-35, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3UjFahV

[35] The dignity of women at work, a report on the problem of sexual harassment in the member states of the European communities parts I- II, Luxembourg: office for official publications of the European communities, Michael Rubenstein, §1.5, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3SdK8dv

[36] სახალხო დამცველის პრაქტიკის გათვალისწინებით, სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ ყველა საქმეში, ქალები კაცების მხრიდან სექსუალურ შევიწროებაზე მიუთითებდნენ

[37] UN Women, Addressing violence and harassment against women in the world of work, 2019, 5, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3axUJ0E

[38] ILO, Declaration on Fundamental Principles and Rights at Work, Fact Sheet on Sexual Harassment at Work, pg. 1, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/47VpN2q

[39] იქვე

[40] Sally A. Piefer, ,,Sexual Harassment from the Victim's Perspective: The Need for the Seventh Circuit to Adopt the Reasonable Woman Standard", Marquette Law Review, Vol. 77, Issue 1, Article 5, 1993, pg. 95, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3u7bU3n

[41] Bracebridge Engineering Ltd v Darby [1990] IRLR 3

სექსუალურ შევიწროებას **არ აქვს გამართლება და თავისი პოტენციური შედეგებიდან გამომდინარე, თავისთავად, არასწორ ქმედებას წარმოადგენს.** სექსუალურ შევიწროებას არ სჭირდება მოტივი. სექსუალური ხასიათის ქცევა, თავისთავად, შეიძლება შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახველი იყოს სავარაუდო მსხვერპლისთვის, შემავიწროებლის განზრახვის მიუხედავად[42].

2.2. სექსუალური შევიწროება საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით

სექსუალური შევიწროება, დეფინიციის მიღმა, ცალკეულ მნიშვნელოვან ასპექტებს მოიცავს, რომლებიც ქმედების შეფასების ინდიკატორებს წარმოადგენენ. თითოეული ინდიკატორი მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და ერთობლიობაში ქმნის ან არ ქმნის სექსუალური შევიწროების მოცემულობას.

სექსუალური შევიწროების გამოკვეთის მიზნებისთვის, არსებითია, შეფასდეს (1) **რა ფორმით გამოიხატა ქმედება და ჰქონდა თუ არა მას სექსუალური ხასიათი**, (2) **აღნიშნული ქმედება იყო თუ არა ადრესატისთვის სასურველი** და (3) **გამოიწვია თუ არა ღირსების შემლახველი, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნა.**

სექსუალური ხასიათის ქცევა

მხარეთა შორის არსებული ონლაინ კომუნიკაციის გათვალისწინებით, სექსუალური კონოტაციის ქცევის გამოკვეთის მიზნებისთვის, სახალხო დამცველი შემდეგ ეპიზოდებს შეაფასებს:

- 2021 წლის 7 მაისს, 23:32 საათზე, განმცხადებლისთვის პირადი ფოტოსურათების გაგზავნას ტექსტით - ***„უფფ ბასეინის და საუნის სურათებს აღარ გამოვაგზავნი:)) ძაან ბომბია“;***
- 2021 წლის 26 დეკემბერს, 01:04 საათზე, განმცხადებლისთვის წყნარ და დაკეტილ ბინაში შეხვედრის შეთავაზებას - ***„ორშაბათს რომ შევხვდეთ საღამოს 5-6 სკენ ერთ წყნარ ადგილზე? სახლში ?“... „დაკეტილი სუფთა მშვენიერი ხედებიანი ბინაა... კარგი აურაა და რაც მთავარია სიწყნარეა“;***
- 2021 წლის 28 დეკემბერს, ყავის დასალევად წასვლის შეთავაზებას - ***ვიფიქრე დილიდან გამოგივლიდი და ყავას შევხვრეპავდით გზაზე სადმე მარაა.. 11 უნდა ვიყო უნიში“.*** ასევე, 2022 წლის 27 მარტს ალკოჰოლური სასმლის ფოტოსურათის გაგზავნას ტექსტით - ***„დავლიოთ“.. „მომენატრეე ე.. დავითვერიიი“;***
- 2022 წლის 7 მარტს, დაინტერესებას, ელოდა თუ არა განმცხადებელი შეყვარებულს - ***„ლუბოვვი? :))“*** ;
- 2022 წლის 11 მარტს, განმცხადებლისთვის მიმართვას ტერმინით - ***„ჩიტო“.***

[42] Ontario Human Rights Commission, Policy on preventing sexual and gender-based harassment, 7. Burden of Proof: Evidentary Issues, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ByzhlG

დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევებთან მიმართებით, კანონმდებლობა ექსპლიციტურად განსაზღვრავს, რომ მტკიცების ტვირთი მოპასუხე მხარეს ეკისრება[43]. აღნიშნული გულისხმობს, **შემავიწროებლის პასუხისმგებლობას, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაამტკიცოს, რომ მისი მხრიდან არასასურველ სექსუალური ხასიათის ქმედებას ადგილი არ ჰქონია.** სავარაუდო შემავიწროებლის მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის მხოლოდ ზოგადი უარყოფა ვერ იქნება წონადი არგუმენტი, თუ მას მსხვერპლის მიერ წარმოდგენილი სხვა მტკიცებულება უპირისპირდება. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული მიმოწერის ამსახველი დოკუმენტაციით[44] უტყუარად დასტურდება, რომ სადავოდ გამხდარი ქმედებები მოპასუხის მხრიდან ნამდვილად განხორციელდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქმედებებისთვის სექსუალური შინაარსის გამოსარიცხად, მოპასუხეს მართებდა, სახალხო დამცველისთვის, ფაქტობრივ საფუძვლებთან დაკავშირებით, წონადი არგუმენტაცია წარმოედგინა, რაც მან ვერ განახორციელა. მოპასუხე, ძირითადად, შემოიფარგლა იმაზე მითითებით, რომ მისთვის, ზოგადად, დამახასიათებელი იყო სტუდენტებთან მეგობრული და არაფორმალური კომუნიკაცია.

სადავო არ არის, რომ განმცხადებელსა და მოპასუხეს შორის საუნივერსიტეტო/აკადემიური ურთიერთობა არსებობდა, რომლის ფარგლებშიც, მოპასუხეს საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი ეთიკის ნორმები და აკადემიური ქცევის სტანდარტები ბოჭავდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, <u>პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათების გაგზავნა</u> <u>და ხაზგასმა, რომ აუზისა და საუნის სურათები იყო *„ბომბი“*,</u> <u>სტუდენტ-ლექტორს შორის დაშვებული კომუნიკაციის ფარგლებს სცდება.</u> აკადემიური ურთიერთობის სპეციფიკის გათვალისწინებით, სტუდენტ-ლექტორის ურთიერთობა შესასწავლ საგანთან/საკითხთან მიმართებით ინფორმაციისა და ცოდნის გაზიარებას უნდა ემსახურებოდეს და არა პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული დეტალების გაცნობას. ამასთან, აუზისა და საუნის ხსენება, სადაც ჩაცმის მიღებულ ფორმას საცურაო კოსტუმი წარმოადგენს, ასევე, მითითება, რომ ამ ადგილებში გადაღებული სურათები არის *„ბომბი“*, მის შიშველ სხეულზე და სექსუალობაზე ხაზგასმის განზრახვაზე მიანიშნებს, ვინაიდან უცნობია მსგავსი ფოტოსურათების განმცხადებლისთვის გაზიარების მიზანი. ლექტორისა და სტუდენტის დაქვემდებარებითი მდგომარეობის გათვალისწინებით, სტუდენტთან კომუნიკაციისას პირადი თუ ინტიმური ფოტოსურათების ჩვენების მცდელობა, რთულია, გონივრული არგუმენტით გამართლდეს.

დაკეტილ სახლში შეხვედრის შეთავაზებასთან დაკავშირებით, მოპასუხე მიუთითებს, რომ მან განმცხადებელს შეხვედრა არა საცხოვრებელ სახლში, არამედ ღვინის სადეგუსტაციო ბინა მარანში შესთავაზა, რათა ა. გ.სთან არსებულ დაპირისპირებაზე ესაუბრა. საკითხის

[43] საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 8, პუნქტი 2; საქართველოს კანონი, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“ მუხლი 363[3]

[44] **შენიშვნა:** მოპასუხეს დოკუმენტაციის ნამდვილობა სადავოდ არ გაუხდია

შესაფასებლად, საყურადღებოა, მოპასუხის მიერ შეხვედრის ადგილის შემდეგნაირად აღწერა - *„..ერთ წყნარ ადგილზე? სახლში?“...დაკეტილი სუფთა მშვენიერი ხედებიანი ბინაა...“.* სახალხო დამცველის შეფასებით, შეტყობინებაში მოპასუხე ნათლად აფიქსირებს, რომ შეთავაზებული ლოკაცია **დაკეტილ სახლს** წარმოადგენდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი ვერ გაიზიარებს მოპასუხის არგუმენტაციას, რომ განმცხადებელთან განმარტოებით შეხვედრა არა საცხოვრებელ სახლში, არამედ ღვინის სადეგუსტაციო დაწესებულებაში სურდა. რაც შეეხება თავად შეხვედრის შინაარსს, შესაძლოა, მოპასუხეს, მართლაც, სურდა განმცხადებელთან ლაბორატორიაში არსებულ დაპირისპირებაზე საუბარი, თუმცა მისთვის განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო, რომ საცხოვრებელი სახლი ლექტორისა და სტუდენტის შეხვედრისთვის შესაფერის და ადეკვატურ სივრცეს არ წარმოადგენდა. დაპირისპირების განსამუხტად, მას შეეძლო, სასაუბროდ უნივერსიტეტის რომელიმე აუდიტორია გამოეყენებინა, რაც გამორიცხავდა მისი მხრიდან არააკადემიურ ქცევასა და შეხვედრისთვის სექსუალური კონოტაციის მიცემას.

ყავისა და სასმლის დასალევად დაპატიჟების მიმართულებით, საყურადღებოა, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ პოზიციაში მოპასუხე თავის გამართლებას მის პიროვნულ მახასიათებლებზე ხაზგასმით ცდილობს *(რომ მისთვის, ზოგადად, დამახასიათებელია სტუდენტებისა და ლაბორატორიის წევრების ყავაზე, ჩაიზე და ღვინის დეგუსტაციაზე დაპატიჟება),* რის დამადასტურებლადაც სტუდენტების ახსნა-განმარტებებს იშველიებს, საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და სოციალური კონტექსტის[45] გათვალისწინებით, განმცხადებლისთვის გზად გავლისა და არასაუნივერსიტეტო სივრცეში ყავის დალევის შეთავაზება, სოციალურად მისაღებ ქმედებად და ლექტორისთვის დაშვებულ აკადემიურ ქცევად ვერ ჩაითვლება. სახალხო დამცველის შეფასებით, მოპასუხის მხრიდან, ამგვარი ქცევის ნორმალიზება საფრთხის შემცველია და აკადემიურ სივრცეში არაჯანსაღი გარემოს შექმნისა და სექსუალური შევიწროების განხორციელების რისკებს ზრდის. სახალხო დამცველი ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ 2022 წლის 27 მარტს გაგზავნილ შეტყობინებაში მოპასუხე განმცხადებელს სთავაზობს არა ღვინის, რომლის დეგუსტაციაც, სამაგისტრო კვლევის საგნიდან გამომდინარე, მათთვის დამახასიათებელი იყო, არამედ „*Chivas regal*“-ის ერთად დალევას და უგზავნის ტექსტს - *„მომენატრეე ე.. დავითვერიიი“.* ალკოჰოლურ თრობაზე სტუდენტთან საუბარი და თრობით გამოწვეული გრძნობების/ემოციების გაზიარება, ცალსახად, მიანიშნებს მოპასუხის ქცევის არააკადემიურ და სექსუალურ ხასიათზე.

[45] შენიშვნა: სავარაუდო სექსუალური შევიწროების შემთხვევის შესახებ მსჯელობისას საჭიროა, ასევე, იმ სოციალური კონტექსტის გათვალისწინება, რომელშიც ფაქტს აქვს ადგილი. სწორედ, ამ კონტექსტისადმი შესაბამისი დამოკიდებულება იძლევა საშუალებას, რომ ობიექტურად შეფასდეს, რამდენად გონივრულად მოხდა სექსუალური ქცევის აღქმა მსხვერპლის მიერ. პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველი 2020, გვ. 20, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4bnNDa3

რაც შეეხება განმცხადებლის **პირადი ურთიერთობებით ინტერესსა და მოფერებითი ტერმინით - *„ჩიტო“* მიმართვას**, სახალხო დამცველის შეფასებით, ვერც აღნიშნულ ნაწილში ჩაითვლება მოპასუხის ქცევა გამართლებულად და მხარეებს შორის დაშვებული ურთიერთობის ნაწილად. წარმოდგენილ პოზიციაში, მოპასუხე თავადვე აღიარებს, რომ მიმართვის ფორმა „ჩიტო“ არის ფამილარული, თუმცა უარყოფს რაიმე სახის სექსუალურ ქვეტექსტს. სუბორდინაციულ ურთიერთობებში მსგავსი ტერმინების გამოყენება სახალხო დამცველმა წარსულში უკვე შეაფასა სექსუალური შევიწროების ვერბალური სახით გამოხატულ ფორმად და განმარტა, რომ დაქვემდებარებაში მყოფი პირისადმი მოფერებითი მიმართვის გამოყენება არა მისდამი ახლო ურთიერთობის ან მეგობრობის გამომხატველია, არამედ უპატივცემულობისა და უპირატესობის დემონსტრირებას წარმოადგენს[46].

სექსუალური ხასიათის ქცევის მიმართ არასასურველობის საკითხი

საქმეში არსებული მტკიცებულებების, მათ შორის, მხარეთა მიმოწერის შინაარსის გათვალისწინებით, რთულია, ითქვას, რომ განმცხადებელი მოპასუხის ქცევის მიმართ მის ნეგატიურ დამოკიდებულებას ღიად გამოხატავდა. აღნიშნული მიმართულებით, საგულისხმოა, რომ სექსუალური ხასიათის ქმედებების მიმართ მიუღებლობის დაფიქსირებას ხელს, შესაძლოა, ობიექტური გარემოებები უშლიდეს. ერთ-ერთ ასეთ ობიექტურ გარემოებას მსხვერპლსა და შემავიწროებელს შორის სუბორდინაცია და ძალთა შორის უთანასწორობა წარმოადგენს. მსგავს სიტუაციაში, მსხვერპლს უჩნდება აღქმა, რომ არასასურველობის გამოხატვის შემთხვევაში, მისთვის ნეგატიური შედეგი დადგება[47]. მოცემულ შემთხვევაში, აკადემიური სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით, განმცხადებელსა და მოპასუხეს, როგორც სტუდენტ - ლექტორს, შორის ძალთა და შესაძლებლობათა გადანაწილება არ იყო თანასწორი. სწავლების პროცესში, სტუდენტი დამოკიდებულია ლექტორზე და ლექტორს აქვს მნიშვნელოვანი ძალა და ბერკეტი იმისა, რომ სტუდენტის აკადემიურ კეთილდღეობაზე ნეგატიური ეფექტი მოახდინოს. სწორედ, მსგავსი ნეგატიური შედეგის შიშზე მიუთითებს განმცხადებელი, როდესაც სახალხო დამცველისთვის წარმოდგენილ პოზიციებში აღნიშნავს, რომ ჰქონდა შიში, თუკი მოპასუხის შეტყობინებებს არ უპასუხებდა, ან/და მასთან დადებითი კომუნიკაცია არ ექნებოდა, სამაგისტრო ნაშრომის დაცვაში ხელს შეუშლიდა. მას აღნიშნულის საფუძველს უქმნიდა მოპასუხის საუბრები, შენიშვნების მიუღებლობასთან დაკავშირებით. იმ ფაქტს, რომ განმცხადებელს სამაგისტრო თემის მომავალი აფიქრებდა, ადასტურებს ასევე მეგობრის, თ.ლ.-ს, ახსნა-განმარტება[48].

---

[46] სახალხო დამცველის 2017 წლის 3 მაისის რეკომენდაცია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3SlzQbl

[47] პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველი 2020, გვ. 19, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4bnNDa3

[48] რამდენადაც სექსუალური შევიწროება ხშირად მესამე პირის თვალისაგან ფარულად ხდება, არაპირდაპირ მოწმეთა არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, უმრავლეს შემთხვევაში, სავარაუდო მსხვერპლის პირველი რეაქცია არა სამართლებრივი დაცვის გზების ძიება, არამედ არასასურველი სექსუალური გამოცდილების ისეთი ადამიანისათვის გაზიარებაა, ვისაც ენდობა.

ქმედების არასასურველობის საკითხთან დაკავშირებით, ასევე, ხაზგასასმელია, რომ თუკი მსხვერპლი ღიად არ აფიქსირებს, რომ მისთვის ქცევა არასასურველია, ეს არ გამორიცხავს შემავიწროებლის პასუხისმგებლობას, ვინაიდან გონივრულობის ფარგლებში, შემავიწროებელს უნდა სცოდნოდა, რომ კონკრეტული სექსუალური ხასიათის ქცევა მიუღებელი იქნებოდა მსხვერპლისათვის.[49] ამდენად, სექსუალური შევიწროების საქმეებში მნიშვნელობა ენიჭება ქმედების არასასურველობის განჭვრეტადობასაც. სახალხო დამცველის შეფასებით, მოპასუხეს, როგორც აკადემიურ სფეროში ხანგრძლივად მოღვაწე და გამოცდილ კადრს, ევალებოდა, გონივრულობის ფარგლებში ევარაუდა, რომ ლექტორის მხრიდან სტუდენტთან არააკადემიურ საკითხებზე სოციალური ქსელით საუბარი, მათ შორის, პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული კითხვის დასმა, სასმლის და ცალკე ნახვის შეთავაზება, ობიექტურად, ვერ ჩაითვლებოდა მისაღებ და სასურველ ქმედებად. ამასთან, აღნიშნული წინააღმდეგობაში მოვიდოდა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ეთიკის ნორმებთან და აკადემიური ქცევის სტანდარტებთან. ქცევის არასასურველობის განჭვრეტადობასთან მიმართებით, ასევე, საყურადღებოა, ბინაში შეხვედრის შეთავაზების ეპიზოდზე მოპასუხის მიერ გაკეთებული განმარტება. როგორც მოპასუხე თავადვე აღნიშნავს, შეტყობინების გაგზავნიდან მალევე მან გააცნობიერა, რომ შეხვედრა, შესაძლოა, არააკადემიურ ქცევად აღქმულიყო და არ იქნებოდა მიზანშეწონილი. ამასთან, განმცხადებლის პასუხებიდან გამომდინარე, მიხვდა, რომ მას ეუხერხულებოდა განმარტოებით შეხვედრა. სახალხო დამცველის შეფასებით, მოპასუხის ზემოაღნიშნული განმარტება მოწმობს, მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს შეხვედრასთან დაკავშირებით წინააღმდეგობა ცხადად არ დაუფიქსირებია, მისი პასუხები მოპასუხისათვის იყო მიმანიშნებელი იმისა, რომ შეთავაზება არ იყო სასურველი.

სასურველობის კომპონენტის გამოკვეთის მიზნებისთვის სახალხო დამცველი ყურადღებას გაამახვილებს იმაზეც, რომ მხარეთა შორის არსებული მიმოწერისას განმცხადებელი ყოველთვის იყო კონსტრუქციული და თანმიმდევრული. მას არასდროს გამოუხატავს რაიმე სახის ინიციატივა, მათ შორის, მოპასუხის სექსუალური ხასიათის ქცევების მიმართ იყო ინდიფერენტული. ერთადერთი ეპიზოდი, რაც, შესაძლოა, მოპასუხის ქცევის წახალისების ჭრილში შეფასდეს, არის ყავის დასალევად წასვლის შეთავაზება, რა დროსაც განმცხადებელი მოპასუხეს წერს - *„უნიში შევხვრიპოთ, შოკოლადსაც გამოვაყოლებ“*. თუმცა, აღნიშნულ ეპიზოდშიც გასათვალისწინებელია, რომ განმცხადებლის მხრიდან ყავის დალევის შეთავაზების გარე სივრციდან მისთვის დაცულ, საუნივერსიტეტო სივრცეში გადატანა და მეგობრული ტონით საუბარი, ვერ იქნება სასურველობის გამომხატველი იმ ურთიერთობაში, სადაც ძალთა დისბალანსი არსებობს და მოპასუხე განმცხადებლის აკადემიურ მოსწრებაზე და

პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველი 2020, გვ. 41-42, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4bnNDa3

[49] Ontario Human Rights Commission, *„Policy on preventing sexual and gender-based harassment“*, 2013, pg. 10, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2WKMPpU,

სამომავლო შესაძლებლობებზე ზეგავლენის მომხდენი პირია[50]. მოპასუხის ქცევები რომ არასასურველი იყო განმცხადებლისთვის ასახულია მ. ბ.-ს ახსნა-განმარტებაშიც. როგორც განმცხადებელი აღნიშნავს, იგი მ. ბ.-ს მოპასუხესთან დაკავშირებულ ინფორმაციას და მის დამოკიდებულებებს ხშირად უზიარებდა.

სექსუალური შევიწროების შედეგები

სექსუალური შევიწროებით დამდგარი შედეგი, ფაქტის დადგენის არსებითი ინდიკატორია. ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე გავლენის გამო, სექსუალური შევიწროება ერთ-ერთ სტრეს-ფაქტორად არის მიჩნეული.[51] სახალხო დამცველის პრაქტიკის გათვალისწინებით[52], არასასურველმა სექსუალური ხასიათის ქცევამ მსხვერპლში, შესაძლოა, გამოიწვიოს შფოთვა, დეპრესია, ძილის დარღვევა, მადის დაკარგვა, კონცენტრაციის უნარისა და თვითშეფასების დაქვეითება, რეგულარული საქმიანობისადმი ინტერესის დაკარგვა, სოციალური იზოლაცია, სირცხვილის გრძნობა და სხვა.

განსახილველ შემთხვევაში, როგორც განმცხადებლის პოზიციებიდან, ასევე, მესამე პირთა ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, რომ მოპასუხის ქცევა განმცხადებლისთვის შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახავი იყო. განმცხადებლის დედის, დის და მეგობრის პოზიციებში დეტალურად არის აღწერილი ის მძიმე ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რაც მოპასუხის ქცევამ განაპირობა. კერძოდ, მათი განმარტებით, ლაბორატორიაში სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში, განმცხადებელი მუდმივად განერვიულებული, გაღიზიანებული და დაძაბული იყო. დაეწყო შფოთვები, ხშირად სტკიოდა თავი, უჩქარდებოდა გული და თანდათანობით სწავლის გაგრძელების მოტივაციაც კი გაუქრა.

საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ განმცხადებლისთვის დამატებითი სტრეს-ფაქტორი იყო სექსუალური შევიწროების გამოცდილებაზე საუნივერსიტეტო სივრცეში საუბრის თანმდევი სირთულე, რადგან ჰქონდა მოლოდინი, რომ თუკი მოპასუხის ქმედებებზე ხმას ამოიღებდა, იგი მის მიმართ წნეხს გააძლიერებდა და ჭორებს გაუვრცელებდა[53]. დაუცველობისა და შიშის განცდას ისიც მატებდა, რომ მოპასუხის

[50] Mahmoodi v. University of British Columbia and Dutton, 1999 BCHRT 56 (CanLII), §239-241, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3UpDS5a

[51] Jason N. Houle, Jeremy Staff, Jaylan T. Mortimer, Christofer Uggen and Amy Blackstone, „*The impact of sexual harassment on depressive symptoms during early occupational career*", Soc Ment Health., 1(2), (89–105), 2011, pg. 1, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3vRXxjK

[52] შენიშვნა: იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 16 ოქტომბრის რეკომენდაცია მ. ჩ.-ს და კერძო კომპანიას; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2AgMYKr; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 13 აპრილის რეკომენდაცია ლ.ჯ.-ს; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3fCRdQw; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 2 თებერვლის რეკომენდაცია ლ.ჯ.-ს; ხელმისაწვდომია: https://bit.ly/482OM3V

[53] შენიშვნა: საგულისხმოა, რომ გარდა სექსუალური შევიწროების გამოცდილების შედეგად გამოწვეული სტრესისა, მსხვერპლის მძიმე ფსიქო-ემოციური მდგომარეობას, დამატებით, ამ გამოცდილებაზე ღიად საუბარიც განაპირობებს. სოციალური, ფსიქოლოგიური, თუ სხვა სირთულეების გათვალისწინებით, სექსუალური შევიწროების გამოცდილების მქონე პირები, უმეტეს შემთხვევაში, დუმილს ამჯობინებენ. აღნიშნულს ერთი მხრივ ტრავმული გამოცდილების გახსენების შიში, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების მხარდაჭერის იმედის არ ქონა განაპირობებს. ქვეყანაში დღემდე არსებობს გენდერული სტერეოტიპები, რომლის თანახმად, არასასურველი მოპყრობის გამომწვევი თავად ქალია. შესაბამისად, მსხვერპლებს უჩნდებათ შიში, რომ საზოგადოება და ის პირთა წრე, რომელთანაც მათ ყოველდღიურ რეჟიმში აქვთ შეხება, მათ საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ პრინციპებთან შეუსაბამო ქცევაში დაადანაშაულებენ

აკადემიური რეპუტაციიდან გამომდინარე, არ ჰქონდა აკადემიური პერსონალის მხარდაჭერისა და სამართლებრივი შედეგის დადგომის იმედიც. აღნიშნული განწყობა მას ნ. კ.-სგან მხარდაჭერის მიუღებლობამაც შეუქმნა.

2.3. ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პასუხისმგებლობის საკითხი

სახალხო დამცველის შეფასებით, საგანმანათლებლო სივრცეებში სექსუალური შევიწროების შემთხვევების არსებობა განსაკუთრებით საგანგაშოა, რამდენადაც აღნიშნული ნეგატიურად აისახება ხარისხიანი განათლების მიღების, პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და საკუთარი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობებზე. არსებითად მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო დაწესებულებებს ჰქონდეთ არატოლერანტული და მკაცრი პოლიტიკა სექსუალურ შევიწროებასთან მიმართებით, მათ შორის, გაატარონ პრევენციული ღონისძიებები სექსუალური შევიწროების შემთხვევების მინიმალიზების, უფლების დაცვის მექანიზმების შემუშავებისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. დაუშვებელია, სავარაუდო, სექსუალური შევიწროების შემთხვევების იგნორირება იმ საფუძვლით, რომ მსხვერპლს აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივარი/განცხადება უფლებამოსილი პირისთვის არ წარუდგენია.

განსახილველ შემთხვევაში, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორის მიერ სახალხო დამცველისთვის მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ფაქტის შეტყობისთანავე, სადისციპლინო საბჭომ, მოპასუხის მიმართ, წარმოება დაუყოვნებლივ დაიწყო, რის საფუძველზეც კ. დ.-სთან, 2023 წლის 6 სექტემბერს, შრომითი ურთიერთობა შეწყდა. სახალხო დამცველის შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტთან მიმართებით, უნივერსიტეტის რეაგირება იყო მყისიერი, მკაცრი და სექსუალური შევიწროების შემთხვევების პრევენციაზე ორიენტირებული. მისასალმებელია ისიც, რომ ანტი-დისკრიმინაციული დებულებები ასახულია უნივერსიტეტის შიდა ნორმატიულ აქტებში. თუმცა, ამავდროულად, სახალხო დამცველი უნივერსიტეტის რეაგირებას სათანადოდ ეფექტიანად ვერ მიიჩნევს იმ ვითარებაში, როდესაც სექსუალური შევიწროების პრევენციაზე პასუხისმგებელი ყველა პირის მიმართ შესაბამისი ღონისძიება არ გატარებულა.

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესისა და „აკადემიური პერსონალისა და სწავლების პროცესში მონაწილე სხვა პირების ეთიკის კოდექსის“ საფუძველზე, აკადემიური პერსონალი და სწავლების პროცესში მონაწილე ყველა პირი ვალდებულია, დისკრიმინაციის რომელიმე ფორმის არსებობის შესახებ, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას დაუყოვნებლივ შეატყობინოს[54]. აღნიშნული დანაწესის საპირისპიროდ, მას შემდგომ, რაც განმცხადებელმა ნ. კ.-ს მოპასუხის ქცევის შესახებ აცნობა და დახმარება

[54] ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესი, მუხლი 5, პუნქტი 5.1.9; ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „აკადემიური პერსონალისა და სწავლების პროცესში მონაწილე სხვა პირების ეთიკის კოდექსი“, მუხლი 4, პუნქტი 4.1.17

სთხოვა, მან არათუ არ დაიწყო სამართლებრივი პროცედურები შემავიწროებლის განეიტრალებისა და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით, არამედ სავარაუდო მსხვერპლისადმი გულგრილი დამოკიდებულებაც კი გამოიჩინა. სახალხო დამცველის შეფასებით, ნ. კ.-მ უგულებელყო მსხვერპლზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველყოფის ვალდებულება, რასაც მისი მხრიდან ნათქვამი სიტყვებიც ადასტურებს - *„იმედია, გეჩვენება :)“.* ასეთი დამოკიდებულების გამოვლენამ, განმცხადებლის, როგორც სექსუალური შევიწროების სავარაუდო მსხვერპლის მიმართ არასენსიტიური და დაუცველი გარემო შექმნა.

სახალხო დამცველის შეფასებით, იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის ცნობილი იყო პროგრამის კოორდინატორის მხრიდან სავარაუდო სექსუალური შევიწროების მიმართ გამოვლენილი გულგრილი დამოკიდებულების შესახებ, ხოლო უნივერსიტეტმა არ იმსჯელა ნ. კ.-ს შესაძლო პასუხისმგებლობის თაობაზე, ამ ნაწილში სახალხო დამცველი უნივერსიტეტის რეაგირებას ეფექტიანად ვერ ჩათვლის. სექსუალური შევიწროების შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირებისა და პრევენციის ვალდებულებები, არა მარტო სავარაუდო შემავიწროებლის, არამედ, საქმესთან შემხებლობაში მყოფ სხვა პირთა პასუხისმგებლობის გამოკვეთასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებასაც მოიცავს, რაც წინამდებარე საქმეში უგულებელყოფილი იქნა. ნ. კ.-ს, როგორც პროგრამის კოორდინატორის, ვალდებულება იყო, არა მხოლოდ ეცნობებინა უნივერსიტეტისათვის სავარაუდო სექსუალური შევიწროების შესახებ, ასევე, სტუდენტის მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება გამოეჩინა.

3. დასკვნა

განსახილველ საქმეში, განმცხადებლის მიერ მითითებული ფაქტებისა და მტკიცებულებების შესწავლის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველს წარმოეშვა სექსუალური შევიწროების განხორციელების ვარაუდი, ხოლო მოპასუხე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ წარმოშობილი ვარაუდი გაექარწყლებინა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ კ. დ.-ს მხრიდან, ე. ბ.-ს მიმართ, ადგილი ჰქონდა სექსუალურ შევიწროებას, რაც გამოიხატა არასასურველი, სიტყვიერი, სექსუალური ხასიათის მიმოწერაში: *პირადი ცხოვრების დეტალებით დაინტერესებაში, ყავისა და სასმლის ერთად დალევის ინიცირებაში, განმარტოებით დაკეტილ ბინაში შეხვედრის შეთავაზებასა და მოფერებითი ტერმინით მიმართვაში.* მოპასუხის ქმედებებმა განმცხადებელს შეუქმნა ღირსების შემლახავი და დამაშინებელი გარემო.

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლით და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს:

კ. დ.-ს:

- მომავალში არ განახორციელოს სექსუალური შევიწროება და არ შეუქმნას სტუდენტებსა თუ სხვა პირებს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ან/და მათი ღირსებისთვის შეუსაბამო გარემო;

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორს:

- სექსუალური შევიწროების შემთხვევების შესწავლისას, ყურადღება გაამახვილოს დისკრიმინაციის პრევენციაზე პასუხისმგებელ პირთა მხრიდან ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაზე, ხოლო უგულებელყოფის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის სათანადო ღონისძიებები გამოიყენოს.

გთხოვთ, რეკომენდაციის განხილვის შედეგებთან დაკავშირებით მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ 20 დღის ვადაში.

პატივისცემით,